




ევროკავშირისა და საქართველოს ერთობლივი
პროექტი ინტელექტუალური საკუთრების შესახებ



@SCHOOL

ინტელექტუალური საკუთრება (IP)
განათლებაში

ინტელექტუალური საკუთრების
დღის აქტივობები


შთამაგონებელი ვორქშოფები



მთამაგონებელი ვორქშოფები

მოკლე აღწერა	ვორქშოფების ჩასატარებლად მოიწვიეთ ახალგაზრდა მთამაგონებელი მომხსენებლები, რომლებიც მოსწავლეებს დაანახებენ, რა კავშირია ინტელექტუალურ საკუთრებასა და საკუთარი საქმიანობის კრეატიულ, ნოვატორულ და სამეწარმეო ასპექტებს შორის.
ასაკი	საბაზო საფეხურის მოსწავლეები
დრო	ერთი 45-წუთიანი სესია, რომელიც შეიძლება გაუმორდეს სხვადასხვა ჯგუფისთვის
მიზანი	აქტივობის მიზანია, მოსწავლეებმა გააცნობიერონ ინტელექტუალური საკუთრების ცნებები და მათი გავლენა ცხოვრებაზე როგორც მომხმარებლის, ასევე შემოქმედის როლში ყოფნისას. მთამაგონებელი ვორქშოფები: • გააცნობს მოსწავლეებს მუშაობის რეალური გამოცდილების მაგალითებს; • შესაძლებლობას მისცემს ახალგაზრდა ადამიანებს, მოსწავლეებს გაუზიარონ საკუთარი ისტორიები; • წახალისებს ცოცხალ სასწავლო პროცესს; • უკეთ გააცნობიერებინებს მომხსენებლებს მოსწავლეთა ინტერესებს.
სწავლის შედეგები	მოსწავლეები გაეცნობიან: • რა სახის დაცვას უზრუნველყოფს სხვადასხვა სახის ინტელექტუალური საკუთრების უფლება; • რა როლს თამაშობს ინტელექტუალური საკუთრების უფლება მათი, როგორც სოციალური ქსელების კონტენტის შემქმნელთა ცხოვრებაში; • სხვათა ნაშრომის პატივისცემის მნიშვნელობას, რათა, სანაცვლოდ, სხვებმაც სცენ პატივი მათ ნამუშევარს; • ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ხერხებს და მათი გამოყენების საშუალებებს პრაქტიკულ სიტუაციებში.
კომპეტენციები	• წიგნიერების კომპეტენცია • კულტურული გაცნობიერებულობისა და თვითგამოხატვის კომპეტენცია • მოქალაქეობრივი კომპეტენცია • პიროვნული, სოციალური და სწავლის კომპეტენცია • სამეწარმეო კომპეტენცია
რესურსები	ლონისძიების მთავარი რესურსია მთამაგონებელი მომხსენებლები, რომლებიც ვორქშოფებს გაუძღვებიან. როგორც წესი, მომხსენებლებს შორის შეიძლება იყვნენ: • საქველმოქმედო სფეროს/სოციალური მუშაკები; • მწერლები; • მხატვრები; • მუსიკოსები; • ბლოგერები/გეიმერები/სოციალური მედიის კომენტატორები; • მეწარმეები/ბიზნესის სფეროს წარმომადგენლები; • სპორტის/გართობის სფეროს წარმომადგენლები; • მეცნიერები/მკვლევარები.

ინტელექტუალური საკუთრების დღეზე მოწვეული მოტივატორი მომხსენებლები: მაგალითები



შრიფტების დიზაინერმა და მხატვარმა, რომელიც კერძო პირებისა და ორგანიზაციებისთვის წარწერების შექმნაზე მუშაობს, მოსწავლეებს თავისი სამუშაოს არსი გააცნო, შემდეგ კი პრაქტიკულად უჩვენა, როგორ ქმნის წარწერებს. მისი დახმარებით მოსწავლეებმა გაიაზრეს, თუ რა გზით ეხმარება ხელოვანს ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვა შემოსავლის მიღებაში იმ შემოქმედებითი სამუშაოდან, რომელიც მისი ხელოვნების დერძს წარმოადგენს. სტუმრის საქმიანობის კიდევ ერთი სფერო მუსიკა აღმოჩნდა. მან მოსწავლეებთან ისაუბრა იმაზე, თუ რა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ინტელექტუალური საკუთრების დაცვა მუსიკის ინდუსტრიაში და როგორ ეხმარება იგი ჩანაწერების შემქმნელ მუსიკოსებს.



სოციალური მედიის ინფლუენსერის დახმარებით მოსწავლეებმა სოცმედიაში მრავალი მიმდევრის მყოფი ადამიანის სოციალური ცხოვრების „სამზარეულოში“ შეიხედეს. მათთვის საინტერესო და უაღრესად შთამბეჭდავი იყო მომხსენებლის ნაამბობი, რომლის მიხედვითაც, თავის წარმატებულ პროფესიულ ცხოვრებას ნაწილობრივ ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვას უმაღლეს.



მომხსენებელი – მოყვარული მეცნიერი – მოსწავლეებს ესაუბრა თავის საქმიანობაზე სამეცნიერო კვლევების სფეროში. მან მოსწავლეებს ყურადღება გაამახვილებინა იმაზე, რომ დღეს, თანამედროვე ტექნოლოგიების წყალობით, მეცნიერება ნებისმიერი ადამიანისთვის მისაწვდომ საქმედ შეგვიძლია მივიჩნიოთ. ასევე, მომხსენებელმა მოსწავლეებს გააცნო, რა როლს ასრულებს ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვა სამეცნიერო კვლევების განვითარების საქმეში.



კოდირების მცოდნე ახალგაზრდა მეწარმემ, რომელმაც ფასების შედარების ინტერნეტბიზნესში მოიპოვა წარმატება, მოსწავლეებს რამდენიმე მკაფიო მაგალითით განუმარტა, რა გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მისი ბიზნესის განვითარებისთვის ინტელექტუალური საკუთრების დაცვაში ინვესტირებას. ამ მომხსენებლის ამბავი უფრო უშუალოდ ეხებოდა მოსწავლეებს, რადგან მან ბიზნესის სამყაროში პირველი ნაბიჯები ერთ-ერთი სასკოლო პროექტისთვის კოდირებით გადადგა, რაც შემდგომ ბიზნესიმპერიად განავითარა.



სპიკერმა, რომელიც მწერალიცაა, მეცნიერიც, ტელეწამყვანიც და, ამავდროულად, დიზაინერთა გატაცებული, მოსწავლეებს გაუზიარა თავისი მოსაზრება იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელოვანი როლი ეკისრება დიზაინსა და ესთეტიკას ყოველდღიურ ცხოვრებაში. მან ასევე აღნიშნა, რომ აუცილებელია, მეტი ყურადღება მიექცეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების ჩართვას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მომხსენებელმა სემინარში ყურადღება გაამახვილა, თუ რა მნიშვნელოვანია, დაიცვა საკუთარი კრეატიულობა და, ამავე დროს, პატივი სცე სხვა ადამიანების შემოქმედებითობას. მოსწავლეებს დაევალიათ, მიცემული დროის განმავლობაში ჩამოეწერათ შემოქმედებითი იდეები და მათი დაცვის ხერხები.

რჩევები მომხსენებლებისთვის / ვორქშოფის წამყვანებისთვის

მთავარია კარგი მომზადება

ინტელექტუალური საკუთრების დღის მომზადებისას სასურველია, წინასწარ იმუშაოთ სკოლაში ვორქშოფის ჩასატარებლად მოწვეულ ადამიანებთან. მათთან ერთად ზუსტად განსაზღვრეთ, თუ რა სახის იქნება მათ მიერ ჩატარებული სემინარი. ქვემოთ მოცემულია რამდენიმე ძირითადი საკითხი, რომელთა გაცნობაც, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანია ინტელექტუალური საკუთრების დღეზე მოწვეული მომხსენებლებისთვის.

იფიქრეთ აუდიტორიაზე

Ideas Powered @ School არის პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს ინტელექტუალური საკუთრების საკითხების გაცნობას ყველა ასაკის მოსწავლისთვის. სემინარები განკუთვნილი იქნება საბაზო და საშუალო განათლების მოსწავლეებისთვის (ასაკი 11-17 წელი). ყოველ ჯგუფში იქნება დაახლოებით 25 მოსწავლე (მოსწავლეთა რაოდენობა შეგიძლიათ თქვენი სკოლის პირობებს მოარგოთ). ინტელექტუალური საკუთრების დღის ჩატარების ერთ-ერთი მთავარი მიზანი მოსწავლეებისთვის შემოქმედებითი და შთამაგონებელი აქტივობების მოწყობაა. ამის დახმარებით მოსწავლეები საკუთარი იდეების დაცვის და სხვების იდეების პატივისცემის საჭიროებას გააცნობიერებენ.

მომავალი თაობის მოზარდთა მოტივირება

ყველაზე მნიშვნელოვანი ამ ვორქშოფში ისაა, რომ მოსწავლეებში შთაგონებისა და მოტივაციის გაღვივება შეძლოთ. მოსწავლეებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, შეიტყონ თქვენი კარიერული გზის შესახებ: როგორ დაიწყეთ, რა წინააღმდეგობები შეგხვდათ, რა ჯილდოები მოიპოვეთ, რა კურიოზები შეგემთხვათ და ა.შ. სასურველია, თქვენ მიერ არჩეულ სფეროში პროფესიონალად ჩამოყალიბების ამბავს იმგვარად მოუყვებოდეთ, რომ ის მოზარდებისთვის აქტუალური და საინტერესო იყოს. შეგიძლიათ საკუთარი მუშაობის პროცესი აღწეროთ – რა დროს უთმობთ საქმის კეთებას, რა ადგილებში გიწევთ ყოფნა, საიდან იღებთ შთაგონებას და სხვ. თქვენი მიზანი მაღალი კათედრიდან ლექციის წაკითხვა კი არ არის, არამედ პრაქტიკული სესიის ჩატარება, რომელშიც მოსწავლეები თავიდან ბოლომდე ინტერესით ჩაერთვებიან და მონაწილეობას მიიღებენ მოკლე თუ შედარებით ხანგრძლივ აქტივობებში.

გამოიყენეთ პრაქტიკულად კეთების ეფექტი

ვინაიდან ამ დღის მთავარი თემა თავად მოსწავლეების მიერ შექმნილი ნამუშევრებია, გთხოვთ, შესთავაზოთ მათ აქტივობა, რომელშიც ისინი ინდივიდუალურად, წყვილებში ან მცირე ჯგუფებში კონკრეტულ ნამუშევარს შექმნიან პროდუქტის სახით. გამოყავით დრო იმისათვის, რომ მოსწავლეებმა თავიანთი ნამუშევრები ვორქშოფის სხვა მონაწილეებს წარუდგინონ. ვორქშოფის ბოლოს მოსწავლეებმა უნდა მიიღონ უკუკავშირი, წახალისება და პრაქტიკული რჩევები. ვორქშოფები გაიმართება ჩვეულებრივ საკლასო ოთახებში, რომლებშიც უკვე არის დაფები და პროექტორები. გთხოვთ, დროულად გვაცნობოთ, თუ დამატებითი რესურსები გჭირდებათ.



დამატებითი ინფორმაციის მისაღებად და მასალების ჩამოსატვირთად ეწვიეთ ვებგვერდს: www.ideaspowered.eu
ან გაგზავნეთ წერილი მისამართზე: IPinEducation@euipo.europa.eu



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



ევროკავშირის და საქართველოს ერთობლივი
აზიზებული ინტელექტუალური საკუთრების განსაცხადი



საქართველოს ინტელექტუალური
საკუთრების ცენტრი
საქპატენტი
NATIONAL INTELLECTUAL PROPERTY
CENTER OF GEORGIA
www.sakpatenti.gov.ge



EUIPO
EUROPEAN UNION
INTELLECTUAL PROPERTY OFFICE